საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

# ლორთქიფანიძე ნინა ალექსანდრეს ასული



ნ. ლორთქიფანიძე

ლორთქიფანიძე ნინა ალექსანდრეს ასული (2. II. 1924, თბილისი, – 2009, იქვე), მოცეკვავე, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1967), ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბუქარესტის (1953) და მოსკ. (1957) საერთაშ. ფესტივალების ლაურეატი. 1943 დაამთავრა თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრთან არსებული ქორეოგრ. სტუდია (ხელმძღვ. დ. ჯავრიშვილი). 1943–46 სწავლობდა საქართვ. სახ.-სამ. ინ-ტში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ხალხ. ცეკვის თვითმოქმედ სტუდენტურ ანსამბლში. 1946–67 იყო საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. ანსამბლის (ხელმძღვ. ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი; ახლანდ. ი. სუხიშვილის სახ. ქართული ნაციონალური ბალეტი) სოლისტი. ანსამბლის რეპერტუარიდან ასრულებდა არაერთ სოლო პარტიას, ქმნიდა დასამახსოვრებელ ქორეოგრ. სახეებს. 1970-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თეატრალურ ინ-ტსა და საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. ანსამბლის სკოლა-სტუდიაში.